

საქართველო

პროცენტული თავისუფლების გზით პროცენტული თავისუფლებისაკენ
პროცენტული თავისუფლების გზით პროცენტული თავისუფლებისაკენ

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 20 (1393) 8-15 ოქტომბერი, 1994 წ.

ძვირფასო მკითხველო!

გაზეთ „საქართველოს“ წინა ნომერში ვწერდით, — „მოულოდნელი, მაგრამ ფაქტია, რომ „საქართველოს“ რედაქციამ დღევანდელი აღვირახსნილი უკანონობის პირობებში, მაინც შეძლო ნათელი და უეჭველო მასალის მოპოვება იმ ბინძური ცილისწამების სამსილებლად, რომელიც „ლოტერატურა“ საქართველომ“ და რამდენიმე პარლამენტარმა გააჩაღეს ნანათის წინააღმდეგ“. გპირდებით, რომ დღევანდელ ნომერში შემოგთავაზებდით დოკუმენტებს ფოტოასლებითურთ.

30 სექტემბერს „ლოტერატურული საქართველო“ აქვეყნებს მორიგ პასკვილს — დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარის ალექსი კობაიძის საბრალდებო დასკვნას ნოდარ ნათაძის წინააღმდეგ, დასკვნა ისეთია, როგორც იტყვიან, ჭკას რომ გაზეთქვას.

კობაიძის აზრით, განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

სამაგიეროდ ამ შეთითხნილი ბრალდების ავტორის სინდისი და ადამიანობა ეჭვმიტანილობა ეჭვქვეშ დაყენებას.

წერილის სათაურშიც ამ გარემოებამ განაპირობა და არა იმან, რომ პარლამენტარულსა და მუცელმდებარე ლუარსაბს შორის გარეგნულ სხვაობას (მკითხველს მაინც) ვერ ვხედავ...

განსხვავებისათვის მარტო ის რად ღირს, რომ ლუარსაბ თათქარიძე ბუნებრივ დასდევდა დასაჭერად. ყოფილი ჩაფარ-მილიციელი ალექსი კობაიძე კი — ადამიანებს.

ამ ხელობაში გაწაფულმა, ახლა ნათაძის „ჩაყულება“ მოინდომა...

ყოველ შემთხვევაში, მის ხელმოწერილ დასკვნას რომ წაიკითხავს მკითხველი, ნათაძის ბრალდებულნი, ლამის ჯიბის ქურდად რომ გამოიყვანეს ეს უბრალო კაცი, ცამდე მართალი ვგონებ, თვით ნათაძე კი ცხვირის ტყავში გახვეული მგელი.

ნოდარ ნათაძეს ხალხი — მისი მომხრენი და გენებავთ, მოწინააღმდეგეებიც, პატი-

კანია აღაპიანო?!

„რა ჯენა ტვინი და გონება მეზნევა, როცა ამა ქვეყნის ძლიერის წინაშე წარვდგები“
უთქვამს ოდესღაც ჩვენს „ბრძენ“ ალექსის და თუ არ უთქვამს, ვინმე იტყოდა...

ოსან და უანგარო კაცად იცნობდნენ, რაც მართალი მართალია, ამ შეჩვენებულებმა, ცილისწამების შემკვეთებმა, ისე ნიჭიერად შეადგვიეს სცენარი, რომ საქმეში ჩაუხედავ მოქალაქეებს პატიოსანი მოღვაწის პიროვნებაშიც ეჭვი შეატანინეს.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ჩვენს პარლამენტშიც კი, ვერაფერ მოახერხებდა (სცენარის ხილული ავტორისა და რეჟისორის ვარჩულიშვილის გარდა) ისე უნამუსოდ და უტიფრად გაესაღებინა თეთრი შავად, როგორც ეს აკობაიძემ შეძლო. ამასთან, ვერაფერ მოახლფორთებდა ნიჭიერად შექმნილ სექტაშიც ისე უნიჭო თამაშს, ამ უკანასკნელმა რომ გვიჩვენა.

ორიოდე სიტყვით მკითხველს გაგახსენებ დიდგამული კომედის პროლოგის შესახებ.

ავანსცენას წარმოადგენს პარლამენტის დარბაზი. მოულოდნელად დგება დეპუტატი გიორგიანი და „გულუბრევილოდ“ ეკითხება სპიკერის მოადგილეს ვარჩულიშვილს:

— ბატონო ვახტანგ, მე მინდა შეკითხვა დაგისვთ... ასეთი ცნობებია, რომ პარლამენტში 6 სექტემბერს, გასული წლის 6 სექტემბერს მოხდა აფხაზეთის ეკონომიკური აღორძინების რაღაც ფონდის შექმნა. თუ იცით ამის შესახებ რამე?

მე პირველად მესმის, და თუ ვინმემ რაიმე იცის, ძალიან მაინტერესებს, რა გააკეთა ამ ფონდმა, ვინ არის მათთვის და რატომ ჩვენ არაფერი არ ვიცით ამის შესახებ? მე აფხაზე-

თან დაკავშირებული კაცი ვარ და ყველაფერი ეს ერთი კვირის წინ ვაგვიგე.

ასეთი კითხვის დასმა რომ „შეკვეთილი“ იყო და დეპუტატმა იოსელიანს თვით „აფხაზეთის ფონდი“ კი არა, სხვა რამ აინტერესებდა, ამ კითხვაშივეა გამყლაგებული. აღნიშნული ფონდი შეიქმნა 6 სექტემბერამდე რამდენიმე თვით ადრე. მამ საიდან ამოტეტივდა ეს 6 სექტემბერი? ამ თარიღთან ერთი პიროვნების სახელია დაკავშირებული და, უნებლივ, შეკითხვის ავტორმა თავი გაამყლაგა, მას სწორედ ეს პიროვნება აინტერესებდა.

რჩეულიშვილმა არც აცია, არც აცხელა და ასევე „გულუბრევილოდ“ და „შემთხვევით“ თვალი „რატომღაც“ ნოდარ ნათაძეს დააღვა.

— ბატონო ნოდარ, მოგმართავთ როგორც თავდაცვის კომისიის თავმჯდომარეს. ბ-ნმა ჯამამ დასვა საკითხი აფხაზეთის განვითარების საერთაშორისო ფონდის თაობაზე. რა ფონდია, რა კავშირი აქვს პარლამენტთან? თქვენ არ ვაგვიათ ასეთი ფონდი?

ნათაძე ამ მოულოდნელ კითხვას სრულიად მშვიდად და დანდობლივად პასუხობს:

— მე არ ვიცი ამ ფონდზე არაფერი. ეს პასუხი რჩეულიშვილს ასე თუმნის ქონებას ერჩია. იმ წუთში, იმ დარბაზში მხოლოდ მან და მასთან შეთქმულმა რამდენიმე კაცმა იცოდა, რა გოლგოთაზე შეაგდო საკუთარი თავი ნათაძემ ამ პასუხით.

გახარებული სპიკერის მოადგილე სასწ-

რაფოდ ქმნის „აფხაზეთის აღორძინების საერთაშორისო ფონდის“ საქმის შემსწავლელ დროებით საპარლამენტო კომისიას, რომლის თავმჯდომარე ხდება დეპუტატი ა. კობაიძე.

ასე შეიკრა კვანძი. ეს სცენა გათამაშდა 1994 წლის 17 მაისს.

კვანძის გახსნას კი დიდი დრო არ დასჭირვებია.

20 მაისს (მიაქვით თარიღებს ყურადღება, რედაქციამ მასალა მეორე დღეს „შემთხვევით“ უკვე დევს) „ლოტერატურული საქართველო“ აქვეყნებს ორ გამოცემულ გვერდზე გლომადის ვრცელ წერილს დოკუმენტების ფოტოასლებითურთ, საიდანაც ჩანს, რომ ნოდარ ნათაძეს „აფხაზეთის ფონდისთვის“ 1993 წლის 6 სექტემბერს ორმოცი მილიარდი სესხის გამოყოფა უთხოვია. (გაისვენეთ გიოსელიანის კითხვაში დაფიქსირებულ 6 სექტემბერი (?))

პარლამენტის სპიკერის მოადგილე და გაზეთის რედაქცია რომ შეთანხმებულად მოქმედებენ, ეს ეჭვს არ უნდა იწვევდეს, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მხილების საფუძველი თვით ნათაძემ მისცა გაზეთს — აკი ფონდს არ ვიცნობო?

მკითხველი სახტად დარჩა.

მაშასადამე ნათაძემ ფონდთან კავშირი შეგნებულად დაამალა.

ფონდი საღვაც მოუსაგლეოთშია გაქცეული.

ფონდმა რისთვის გაიტანა სესხი, კაცმა არ იცის...

ფონდმა დიდი ფული ააორთქლა.

ე.ი. ნათაძე, მამა-აბრამის ბატკნად რომ მოპქონდა თავი, ფინანსურ მაქინაციებშია გახვეული.

ნათაძე ქურდი. ნათაძე კრედიტების გამფლანგველი. ნათაძე ხაზინის მძარცველთა ხელშემწყობი...

ეს ვინ ყოფილა, ლაპარაკობენ მოქალაქენი, მავანნი გახარებულნი, მავანნი

გაგრძელება მე-4 გვ.

გენერალური

პროკურორი

უკან არ იხევის

გვერი ჩემ
ქორეოლიანზე,
ცოგა ჩემ
ღვალისკვილზე

იხ. მე-3 გვ.

კალთაპირ არძინბას სიტყვა,

წარმოთქმული აფხაზეთის «განთავისუფლების» დღისადმი მიძღვნილ მიტინგზე 1994 წლის 30 სექტემბერს

თანამემამულენო, ისეთი ქართველებიც გამოჩნდებიან, არძინბასთან მიმართებაში ამ მშვენიერი უპითეტის „ძაღლთაპირის“ გამო დამუნათებას რომ დაგვიწყებენ. აქაოდა, პოლიტიკური კლიმატი თბება, ქართულ-აფხაზეთი პრობლემის მშვიდობიანი დარეგულირების გზა ჩნდება და ვითარებას რატომ ამწვავებთო. ჯერ ერთი რაც არძინბას ქართველი ერის წინაშე დანაშაულობანი ჩაუდენია სიტყვა „ძაღლთაპირი“ მის პორტრეტს სისავსით ვერც კი ხატავს. მეორედ, ვინც ამ გამოსვლის ტექსტს წაიკითხავს, დარწმუნდება, რომ აფხაზეთი ერთი სანტიმეტრი მიწის დათმობასაც არ აპირებენ და საკუთარ სახელმწიფოში გრძნობენ თავს.

ერთიც არის, არძინბამ გამარჯვების წლისთავზე ვეღა გაყიდა — რუსეთის პრეზიდენტიდან დაწყებული, რუსეთის რიგითი მოქალაქეებით დამთავრებული, რომელთაც გულმხურვალედ სწირავს მადლობას ქართველთა გენოციდისათვის.

გაგრძელება მე-6 გვ.

ქალთაპირ პრძინბას სიტყვა

წარმოქმული აფხაზეთის «განთავისუფლების» დღისადმი მიძღვნილ

მიტინგზე 1994 წლის 30 სექტემბერს

მწარმე ინფორმაციები

სამტამბრის ბოლო რიცხვებში სოხუმში, გავრამში, გულდაუთაში, ოჩამჩირეში, გულრიფშა და გალში აფხაზეთში აღნიშნეს გამარჯვების წლისთავი. არძინბას ხელისუფლებამ ქართველებთან ბრძოლაში გამოჩენილი გმირობისათვის აფხაზეთის გმირის ორდენით დააჯილდოვა 100 კაცი. აფხაზეთის განთავისუფლების ორდენით დააჯილდოვეს კიდევ 300 კაცი. მათ შორის 18 ქართველი აღმოჩნდა, რომელთაც კაენის ცოდვა იქსტრეს და თავიანთ სისხლსა და ხორცს გაფრთხილეს ებრძოდნენ. გაფხაზეთული ქართველი ბევრი გვინახავს, მაგრამ ის, რომ ქართველი არ უარყოფდეს თავის ჯიშსა და ჯილდოს და ამავ დროს საქართველოს მტრობაში და ქართველთა ხოცვა-ჟლეტაში დამახრუბისათვის ორდენებს იღებდეს!

ამ დროს კი, საქართველოს გულში, თბილისში, პარლამენტის შენობაში, სადაც უნდა წყდებოდეს ქვეყნის ბედი, ხელისუფლების წარმომადგენლები საქართველოსთვის ამ კრიტიკულ უამს ქვეყნის გადარჩენისათვის სერთო აზრს ვერ ნახულობენ და ერთმანეთის თავსაფდებსხმაში ათენ-აღაძებენ. მტერი კი იყინის ჩვენს უგუფრობაზე და საზეიმო დავლურს ცეკვავს. როდემდე?

ომის წაგებიდან 1 წლის თავზე აქ, წაგებულთა მიერ, ზარზეიმით იქნა მოწონებული ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკური კურსი.

იქაც ზარზეიმი იყო, ოღონდ გამარჯვებულთა, (დროებით გამარჯვებულთა) ზარზეიმი...

დაახლოებით ერთი თვის წინ ლათას ხეობაში მორიგი ინსპექციის დროს რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალი გენერალ-მაიორი იაკუშევი ადგილობრივი სახალხო ლაშქრის მეთაურს ემზარ კვიციანს საქართველოს შეიარაღებული ძალების უმაღლესი წარმომადგენლების თანდასწრებით დაპირდა, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალები მოსახლეობისაგან იარაღის ამოღებას არ შეეცდებოდნენ. მას შემდეგ გავიდა ერთი თვე და სულ ახლახანს მოგვწოდეს ინფორმაცია, რომლის თანახმადაც 29 სექტემბერს ლათას ხეობაში მოხდა შეტაკება რუსეთის სამშვიდობო ძალებსა, რომლებიც ხეობის პატრულირებას ახორციელებდნენ და ადგილობრივ მოსახლეობას შორის შეტაკება სავარაუდოა მომხდარიყო ადგილობრივი სეპანებისგან იარაღის ამოღების მცდელობის საფუძველზე. ისიც ცნობილი გახდა, რომ ქვემო ლათაში დგას აფხაზი პოლიციელებით სავსე ორი ვერტმფრენი, რომლებიც ელოდებიან ხეობის განთავისუფლებას რუსი სამხედროების მიერ და ამავ ხეობის დაკავებას, რათა იქ გულდაუთის ხელისუფლების იურისდიქცია განახორციელონ. თუ რა შედეგები მოყვება ამას უიარაღოდ დარჩენილი მოსახლეობისათვის, ძნელი წარმოსადგენი არ არის.

დღეს აქ შეიკრიბა ყველა, ვინც ჩვენთან მხარდამხარ იცავდა აფხაზეთის თავისუფლებას, რმ საზოგადოებრივ მოძრაობათა წევრები, ხალხებს რომ მოუხმეს ჩვენს საშველად. აქ არიან ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების, ასევე რუსეთის სამხრეთის მხარეთა და ოქტა მაღალი წარმომადგენლები, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს, რათა ეს დღე დამდგარიყო. აქ ჩამოვიდნენ მამაცი კაზაკების წარმომადგენლები, აფხაზეთის დაცვაში გმირობა და თავდადება რომ გამოიჩინეს.

დღეს, აფხაზ ხალხს დატვილ მძიმე გამოცდის ეამს ისინი ჩვენთან არიან, რათა ის თარიღი აღნიშნონ, რომლისკენაც ჩვენ სასტიკი ომის ხანგრძლივ თვეების განმავლობაში მოვდიოდით. დიდად მოხარულნი ვართ თქვენი ნახვით, ძვირფასო ძმებო! მიტინგის ყველა მონაწილეს, მთელ ხალხს ვულოცავთ აფხაზეთის განთავისუფლების პირველ წლისთავს. ამ დღისათვის, ამ თავისუფლებისათვის აფხაზეთის, ჩრდილო კავკასიის, მთელი რუსეთის ვაჟები და ქალები იჩენდნენ არაჩვეულებრივ სიმამაცესა და გმირობას. მრავალ მათგან არ ეწერა გამარჯვების დღის ხილვა. სამარადისო ხსოვნა გმირებს, ისინი დაიღუპნენ, მაგრამ მარად იცოცხლებენ აფხაზი ხალხის ხსოვნაში.

ყველას თავისი მოგონება აქვს ომის მძიმე დღეებზე, დაცემულ მეგობრებზე, მეც მაქვს იგი და ალბათ, ყველაზე ღირსასხოვარი ომის დაწყებასთანა დაკავშირებული. თავისი სამხედრო ძალით გაბრუნებული მტერი შემოიჭრა ჩვენს მიწაზე, დარწმუნებული იმაში, რომ მცირე უიარაღო ერი დაიჭილ იქნებოდა. მათ კი, რომლებსაც შეეძლოთ და უნდა შეეჩერებინათ აგრესორი, ეთქვათ არა ძალადობისა და გენოციდისათვის, გაგონებაც არ სურდათ ჩვენი ტრაგედიის შესახებ: გამყიდველმა პრესამ დადასტურა რკინიგზის ქართული ტანკებით დაცვის ვერსია. მაგრამ ხალხი არ შედრკა. ბრძოლა პირველებმა შინაგანი ჯარის ქვედანაყოფებმა მიიღეს, მათ გვერდზე მოლაშქრები დადგნენ. მაგრამ სოხუმისა და გაგრის ოკუპაციის შემდეგ შეიქმნა მეტად მძიმე ვითარება და ამ დროს გაისმა ჩვენი ჩრდილოკავკასიელი ძმების ძლიერი ხმა.

მთელ ხალხთა კონფედერაციისა და სხვა საზოგადოებრივ მოძრაობათა ლიდერებმა მოუწოდეს ხალხებს აფხაზეთის დასაცავად. ეს იყო ჩვენი პირველი გამარჯვება და აგრესორის დამარცხების დასაწყისი.

ხოლო მაშინ, როდესაც პირველი მოხალისეები, უზომოდ ბედნიერნი იმით, რომ

შემოაღწიეს აფხაზეთში, გვერდით დაგვიდგნენ, ჩვენ მივხედით, რომ ჩვენს ქუჩაზე იქნებოდა ზეიმი. ჩვენ უმოკლეს დროში შეეძლოთ არმიის შექმნა, მისი მომარაგება. გამარჯვება გამოიჭედა გულდაუთის რაიონში, რომელიც აფხაზეთის დასაყრდნობად იქცა. გამარჯვება გამოიჭედა ასევე ოჩამჩირის რაიონში, ტყვარჩელში, რომლის დამცველებად, სიცივისა და შიმშილის, იარაღისა და საჭურვლის არქონის მიუხედავად, გახდნენ ძალა, რომლებსაც ცეცხლივით ეშინოდათ ოკუპანტების.

არშიაში მხარდამხარ იბრძოდნენ მრავალტანჯული აფხაზეთის მოქალაქეები — აფხაზები და რუსები, სომხები და ბერძნები, ქართველები და მეგრელები, რომლებიც სამართლიანად თვლიდნენ, რომ უნდა დაეცათ მიწა, რომელზედაც დაიბადნენ. დაეცათ იმათგან, რომლებსაც ომი და ნგრევა მოჰქონდათ. და ჩვენთან ერთად, ავლენდნენ რა განსაკუთრებულ სიმამაცეს, იბრძოდნენ ყაბარდოელები და ადიღელები, ჩეჩნები და კაზაკები, აბაზჩეჩელები, დაღესტნელები და ყარაჩაელები, კავკასიის სხვა წარმომადგენლები. მათი გმირობის წყალობით, რომელსაც აფხაზეთი არასოდეს დაივიწყებს, დღგა განთავისუფლების საათი. ჩვენი უდიდესი მადლიერების ერთ-ერთი ნიშანია ქუჩებისა და გამზირების სხელები. აქ არის ადიღეური და ყაბარდოეული, აბაზური და დაღესტნური, ყარაჩაეური და მრავალი სხვა ქუჩა.

ომის შემდგომ წელიწადში მისი შედეგების დაძლევისათვის ბევრი გაკეთდა. ჩვენ ახალი კონსტიტუციის მიღებისთვის ვემზადებით.

აშკარაა, რომ ამ წლის შედეგი უფრო ღირებული იქნებოდა, რომ არა რთული საგარეოპოლიტიკური ვითარება. გალის რაიონში განუწყვეტლივ შემოდიან ბანდები, რომლებიც დივერსიებსა და ტერორისტულ აქტებს აწეობენ. გუშინ მათი ხელით ოთხი აფხაზი მილიციელი დაიღუპა. გთხოვთ წუთიერი დუმილით პატივი ვცეთ მათ — გაგრელი ბიჭების ხსოვნას.

ახლა აფხაზეთიდან და კოდორის ხეობიდან არაა გაყვანილი ქართული შეიარაღებული ქვედანაყოფები, არ არიან განთავისუფლებულნი იქ მყოფი ბანდები. ეს გვაიძულებს, შეიარაღებული გვყავდეს დიდი ძალები. ეკონომიკური სანქციების გაუქმების შედეგად კი ჩვენ მოკლებულნი ვართ რუსეთთან ნორმალურ ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებს. ეს ხელს უშლის კაპიტალდამანდებებს, ინვესტიციებს, სახალხო მეურნეობის აღდგენას, რომელსაც მიყენებული აქვს ათეულობით ტრილიონი მანეთის ზარალი. მაგრამ ჩვენ მიინც არ ვცემით

სულით და ვაშენებთ სამართლებრივ სახელმწიფოს.

ბუნებრივია, რომ ჩვენი ბედი დიდად იქნება დამოკიდებული ჩვენს ურთიერთობებზე რუსეთთან და საქართველოსთან. დღევანდელი ურთიერთობები ხასიათდება მტრობითა და უნდობლობით. ეს გარემოება მძიმდება იმით, რომ ამ წელიწადში ჩვენ ვერ ვგრძნობთ საქართველოს აფხაზეთისადმი დამოკიდებულების ცვლილებებს. იქ დღესაც ცოცხალია რევანშის, აფხაზეთზე ძალადობრივი ბატონობის იდეები. ისინი აწარმოებენ მოლაპარაკებებს აფხაზეთის კანონიერ ხელისუფლებასთან და ამავ დროს ქმნიან არაკონსტიტუციურ ე.წ. აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს, სხვადასხვა საბაბით თავს არიდებენ ჯართა დაშორიშორებას, მხარს უჭერენ რევანშისტულ ორგანიზაციებს, რომლებმაც აფხაზეთში დანაშაული ჩაიდინეს. ამ ბანდიტებმა მოკლეს გალის რაიონში რუსეთის სამშვიდობო ძალების ორი ოფიცერი. თუ ასეთი ტენდენცია შენარჩუნდება, შეიძლება ახალ კონფრონტაციამდე მიგვიყვანოს. ასეთ პირობებში ვერც ლტოლვილთა დაბრუნების საკითხი გადაწყდება. უკვე ხელმოწერილ შეთანხმებათა საფუძველზე ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ აფხაზეთისა და საქართველოს ურთიერთობის საკითხი, რომელიც ბატონობის პრინციპზე კი არ იქნება აგებული, არამედ თანასწორუფლებიანი სუბიექტების პრინციპზე. პოლიტიკურ მოწესრიგებასთან ერთად გადაწყდება ლტოლვილთა პრობლემა. ამასთან უნდა ახლდეს მტრული აქციების შეწყვეტა, აფხაზეთისათვის ომის პერიოდში მიყენებული ზარალის ანაზღაურება. უახლოესი მომავალი გავცემს პასუხებს ამ შეკითხვებზე.

რეგიონში სტაბილიზაციის, აფხაზეთისა და საქართველოს შორის ურთიერთობათა მშვიდობიანი დარეგულირების საქმეში მთავარი როლი რუსეთს ეკისრება. მადლობა პრეზიდენტს, ფედერალურ კრებას აფხაზეთისთვის გაწეულ ჰუმანიტარული დახმარებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ მშვიდობის დამყარება არა თვეების, არამედ წლების საქმეა. სამშვიდობო ჯარების მისია მხოლოდ მაშინ აღმოჩნდება წარმატებული, რომდესაც ისინი გამოყენებულ იქნებიან დანიშნულებისამებრ და არა ისე, როგორც 13-16 სექტემბერს, როდესაც ისინი აფხაზეთისთვის დამუქრებულ ძალად მოაყენდნენ. სამწუხაროდ, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს რიგ ოფიციალურ წარმომადგენელთა განცხადებებში კვლავ იგრძნობა აფხაზეთში სამშვიდობო ძალების პოლიციური ფუნქციით გამოყენების სურვილი. კოდორის ხეობაში ვალდებულებათა

შესრულებას სახევენ დამოკიდებულად ლტოლვილთა დაბრუნებაზე. ჩვენ ასეთი მიდგომის კატეგორიულად წინააღმდეგნი ვართ. კოდორის ხეობიდან ქართული ჯარების გამოყვანა წარმოსადგენს შეთანხმებათა ერთ-ერთ ძირითად პუნქტს და უნდა ყოფილიყო შესრულებული სამშვიდობო ჯარების ჩადგომიდან 10 დღეში. ამ ჯარის ჩადგომიდან 3 თვის შემდეგაც კი ეს საკითხი გადაწყვეტილი არაა. მათ, ვინც გვევატრება ამ საკითხზე, შევასხენებთ, რომ ლტოლვილთა შესახებ ოთხმხრივი შეთანხმებით ამ დოკუმენტის დებულებათა შესრულება უნდა დაიწყოს ჯარების შემოსვლისა და მხარეთა დაშორიშორების შემდეგ. რადგან ეს პირობა შესრულებული არაა, ჩვენ შეგვიძლია თავი შევიკავოთ ლტოლვილთა დაბრუნებაზე.

თუ აფხაზეთში მხარემ მიიღო გადაწყვეტილება დაიწყოს პირველი ოქტომბრიდან ლტოლვილთა დოკუმენტების განხილვა, ეს არის ცალმხრივი ჰუმანიტარი ნაბიჯი, რომელიც გადადგმულია რუსეთის პრეზიდენტის მომართვის საფუძველზე. მას კი ჩვენ უდიდეს პატივს ვცემთ. იმედი გვაქვს, რომ ქართული მხარე შეასრულებს ვალდებულებებს კოდორის ხეობაში. როგორც არ უნდა განვითარდნენ მოვლენები, პატარა აფხაზეთის მოსახლეობა იმედით შეპყრებილი დარჩეს. მას შეუძლია უზრუნველყოს მშვიდობა და სიწყნარე აფხაზეთის ხალხისათვის. ჩვენ გვსურს ყველაზე გულდია, ძმური ურთიერთობა დიდ მეზობელთან. რუსეთში ცხოვრობენ ჩვენი სისხლისმომცემი ძმები, ჩვენი მეგობარი ერები. ჩვენ ვამტკიცებთ ურთიერთობას მათთან, ვდებთ ხელშეკრულებებს რუსეთთან, რომელზედაც რუსეთის პრეზიდენტი ჯერ კიდევ 1992 წლის 3 სექტემბერს ლაპარაკობდა. ამ ხელშეკრულებამ შეიძლება იმუშაოს, სანამ მიიღწევა ყოვლისმომცველი პოლიტიკური დარეგულირება.

არ ახდება და არ უნდა ახდეს იმათი ოცნება, ვისაც აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტა ძალით სურს, ცდილობს წაგვართავს ჩვენ მომავალი და ამისთვის გამოიყენოს რუსეთი, მისი სამხედრო და ეკონომიკური ძლიერება.

ძმებო, ვუსურვოთ მშვიდობა, სიმშვიდე და კეთილდღეობა აფხაზეთის მამაც ხალხს, ჩრდილოეთ კავკასიისა და რუსეთის სამხრეთის ყველა ძმურ ხალხს. დაე ვიდევ უფრო გამყარდეს ჩვენი ძმობა ჩვენივე ხალხების ბედნიერებისათვის, დაე ყოველგვარი უბედურებისაგან დაგვიფაროს ჩვენ ყოველისშემძლე უზენაესმა.

(იბაქაბაა უმნიშვნელო შენიშვნებით)

1. ორთოგრაფია დატულია — რედ.

ბენერალური პროკურორი უკან არ იხმვს

ბენერალური პროკურორი უკან არ იხმვს

ბ-ნო ჯამბუგა, რას იტყვიოთ კონკრეტულად თქვენი პროკურორის ინციდენტის გარშემო, რაში ედგება მას ბრალი?

— ეს განმარტებული ამბავია, კახეთის გუბერნიის მის მიერ მოხდა პოლიციის დეპარტამენტის დაჭრა; სამწუხაროა, რომ ჩვენ ხანდახან ქურდული კანონებით ვცხოვრობთ და ასეთ დანაშაულებრივ ფაქტთან დაკავშირებით ხმას არ ვიღებთ ხოლმე. მე გაცხადებ ვარ, რატომ არავენ შესხედება დაზარალებულს, რომელიც არის უაღრესად კეთილშობილი, პატრიარქის კაცია. მასთან საუბარი თქვენ დაგარწმუნებთ იმაში, რომ ცილისწამება გამოირიცხება. ეს პროცესი საოცრად გულწრფელია. იგი გაასუსტებთ ყველა დეტალზე და დაგარწმუნებთ თავის სიმართლეში.

კანონი უნდა იცავდეს ყველას ინტერესებს, ჩვენთან კი გამოდის, რომ იგი არსებობს მხოლოდ ცალკეული პროცესებისათვის, უბრალო მოქალაქეებისთვის, რაც ყოფილად დაუმეზღვრად მიმაჩნია. რა დასაშვანა ამ კაცმა? რადგანაც იგი პოლიციის მუშაკია, განა მხოლოდ ამისათვის შეიძლება გაეაღწეოთ და არ დაფუძვროთ სიმართლე პროკურორთან მიმართებაში? იგი ხომ დაზარადა, შემდეგ შეურაცხველად და ზოგიერთებმა საკითხიც კი დააყენეს მისი პასუხისმგებლობაში მიცემას. არადა, ელემენტარული პასუხისმგებლობა და სამართლიანობა ხომ არსებობს. გარდა ამისა იქ არაა უამრავი მოწმეები, იგივე პოლიციის მუშაკები, უბრალო მოქალაქეები, რომლებიც თვითმხილველები არიან იმ ინციდენტისა. საქმის მასალები რომ შეაჯეროთ, ყველა დარწმუნდება, რომ ეს ინციდენტი ნამდვილად მოხდა. რაც მთავარია, გამოძიება ახლა დაიწყო, ჩვენ ხომ არ მოვიტხოვთ პროკურორის ახლად, გამოძიების დასრულებამდე დაბატირებას. ტარდება ყველა ის საგამომძიებლო ოპერაციები, რომლებიც საჭიროა ჭეშმარიტების დასადგენად. საბოლოო სიტყვას კი სასამართლო იტყვის.

აღმათ იცნობთ კანონს დებუტატის სტატუსის შესახებ. იქ შეიძლება მოხდეს, რომ თანხმობა პარლამენტის საჭირო. თუ თითოეულ საქმეზე შეიძლება მივედით პარლამენტთან თანხმობის სათხოვნელად, ჩათვალეთ, რომ გამოძიება ამ საქმესთან დაკავშირებით არ შედეგა და ყველამ კარგად უნდა გაიგოს, რომ მე კერძო

ინტერესებიდან არ გამოვდივარ. მე ვარ პროკურორი. მე კანონი მავალეებს, რომ საქმე დაგვიწერო პარლამენტის წინაშე. ამ დროს ჩემი და პარლამენტის ინტერესი ერთი უნდა იყოს. თუმცა ეფიქრობ, რომ აქ გარკვეულმა ძალებმა იმუშავეს და პარლამენტი შეცდომაში შეიყვანეს.

— როგორია თქვენი პოზიცია?
— ჩემი პოზიცია ასეთია, მე მინდა კვლავ დაგვბრუნდეთ ამ საკითხს. ალბათ გახსოვთ პარლამენტზე გამოვიდა ითარ მელქაძე, თუ არა ვცდები, და მან საეჭვო გახადა თვით კენჭისყრის პროცედურული საკითხიც კი. არადა პრეტენზიები აქეთ უნდა მიქონდა. ჯერ ერთი, საპარლამენტო კომისიის წევრებად შეიყვანეს ისეთი თურისტები, რომლებსაც მე არ ვეწილობდი, რაზეც აცილება მივეცი. ეს მათ არ გაიზარდეს და ამ ხალხმა შეადგინა დოკუმენტები. გარდა ამისა, როგორ შეიძლება პარლამენტის ეს საკითხი მოეხდინა მხოლოდ დასკვნის ნაწილით, რომ უარი ეთქვათ. კი მაგრამ რატომ, ხომ უნდა ყოფილიყო დასაბუთება. გარდა ამისა, როგორ შეიძლება მთელი მხარე არ მოვიწვიოთ და ისე მოხდეს საკითხის დასაბუთება. ამით ხომ საქმის ცალმხრივობა დადასტურდება. არადა, მე რამდენიმე საჩივარი მაქვს დაზარალებულ მოქალაქეებს დასაბუთებლად. მე შეიძლება მისი რადგანაც ალბათ ცუდი პროკურორი გამოვდექი, ვერ დავიცავი მისი, როგორც მოქალაქის ინტერესები.

სახელმწიფო მეთაურის მხრიდან თუ იყო დაინტერესება პროკურორის საქმესთან დაკავშირებით?

— მე თუ მეწინააღმდეგეობით, გულახდილად მინდა გითხრა, რომ არავითარი დაინტერესება არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო. ან როგორ შეიძლება სახელმწიფოს მეთაურმა გითხრას, რომ ამ კაცთან მიმართებაში ეს მაინტერესებს და დაკვეთით რაზე გააკეთო. ეს აბსურდია.

— პროკურორის კანონით საქმე უნდა აღედგინა გენერალური პროკურორის, მოხდა ისე, რომ საქმე აღიდგინა პროკურატურის მხრიდან. რამ გამოიწვია ასეთი დარღვევა?

— საერთოდ არ არსებობს და ვერც დამისახელებთ ისეთ ნახევრად გამოძიებულ საქმეს, სადაც რაიმე დარღვევა არ არსებობდეს. აქაც, ბუნებრივია, შეიძლება იყოს პატარა

შეცდომები დაშვებული. და რაც მთავარია, ამ ყველა დარღვევას თავისი ახსნა აქვს. წერილობრივ დარღვევები საერთო ამინდს ვერ ქმნიან.

პარლამენტში გაგუჟა იკითხა, თუ როდის დაიწერა პატაკი, იგი შეიძლება მოგვიანებით დაიწერა, მაგრამ მერე რა მოხდა? შეიძლება ბოდა-პატაკი 3 წლის შერეც დაწერილიყო, მაგრამ ჩვენ ვაღდებულები ვართ ის პატაკიც მივიღოთ. ამიტომ არ გეკონდა უფლება შოშაშვილის საჩივარზე უარი გვეთქვა, რადგანაც იგი ეტევა ხანდაზმულობის ვადაში. მეორე საკითხია მოტივირება, თუ რატომ დაიწერა, რისთვის და თუ არ გეინდა ამის გაგება, შეიძლება ყველაფერი გაგახადოთ და ვთქვათ, რომ ეს არის დარღვევა და ა.შ.

რაც შეეხება საქმის აღძვრასთან დაკავშირებით, მართალი ბრძანდებით, საქმე უნდა აღიდგინა პროკურორის მხრიდან. საქმის აღძვრა ძალიან მარტივად რომ ვთქვათ, გამოძიების დაწყებას ნიშნავს. ჩვენ უკვე ვაპარაკობთ სამართლიანობაზე, კანონიერებაზე, რაზეც ბოლომდე ვაგებ პასუხს. და ის, რომ უშუალოდ ჩემგან არ აღიდგინა საქმე, ეს მაინცდამაინც არავითარი დარღვევა არ არის.

ყველაფერს ითავი რომ დაეპყრობო, 3 მილიარდნახევარი კრედიტი ხომ არის წაღებული პროკურორისა და მისი ახლობლების მიერ. ეს ბუჩქნაში ხომ არსებობს ცნობილი დედალიშვილის ჩვენება, რომ ამ კრედიტის გაცემა და მისი გადაგდება გაკეთდა პროკურორის შეამდგომლობით. არის ეს ჩვენებები და დოკუმენტები, რომელსაც ვერსად გავიქცევით. პროკურორის ვიბეში რომ ყალბი დოკუმენტი აქვს და მისი ახლი რომ მე მაქვს ექვს ხომ ვაქტია, პროკურორის თუ როგორ გაუფორმეს იარაღი, ესეც ცნობილი ფაქტია. ყოველდღე ამას კი ვინ როგორ ახსნის ეს მათი საქმე, მაგრამ ხომ არსებობს კანონი და სამართალი, ჩვენის მხრიდან პროკურორის დაკავშირებით არავითარ უაღსოვოცრებას და სჯავლებს ადგელი არა აქვს.

დღეს საუბრობენ იმაზე, რომ პროკურორის მონაწილეობა სხვადასხვა მაქინაციებში, რამეს ხომ არ გვეტყვიოთ ამის თაობაზე?

— ეს ძალიან რთულად ნათქვამია. დამარაკია იმაზე, რომ მან დააფუძნა ბანკი "ოპიზარი", მისი დამფუძნებელი კი არის მისი შვილი და მისი და, და აი, ამ ბანკმა სულ რამდენიმე თვეში 3 მილიარდ

ნახევარზე მეტი გაიტანა კრედიტით. აბა, თქვენ წაბრძანდით და სულ რაღაც ნახევარი მილიარდის გატანა სცადეთ კრედიტით. ეს ასე უბრალოდ არ ხდება ხოლმე. ეს არის საზოგადოებისთვის უზარმაზარი თანხა, რომელიც ჩვენს ხალხს წაადგებოდა. და ამის შემდეგ ასეთი ხალხი გამოდის და ქვეყნის ინტერესებზე ლაპარაკობს, მაშინ როდესაც მათ ყველას ლომის წილი მიუძღვით საქართველოში დღევანდელ ვითარების შექმნაში. გეტყვით მეტსაც, რომ პროკურორის პარტიის წარმომადგენელმა ბანკიდან გაიტანა აღნიშნული თანხა და მიიმალა. და ბოლოს როცა ვალი დაიფარა, ვალი დაფარა ბანკმა კუმონებით ერთი-ერთზე 1991 წელს, სხვაობა ხომ დარჩა, ფული კი ვიბეში იქნა ჩადებული.

გარდა ამისა, გამოაშკარავდა სხვა უამრავი მაქინაციები. მაგ. როგორ შეიძლება პარლამენტარული ეროვნულად იყოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსულტანტი. ეს ხომ შეუთავსებელია. ეს საბუთი მას გაუკეთა მისმა პარტიელმა, ვინმე გულბახინამ, რომელიც მუშაობდა შ.ს.ს-ში კადრების განყოფილების უფროსად. ეს ის გულბახინაა, რომელიც უდასტურებს პროკურორის, რომ იგი ვერ ჩაიდენდაო დატრას. ვინაიდან ჩემთან ერთად იმყოფებოდნენ ქუთაისში.

— როგორ შეაფასებთ პარლამენტის რეაგირებას თქვენს გამოსვლასთან დაკავშირებით?

— მე ისეთი კაცი ვარ, რომელიც ამბობს არ აწუხებს პარლამენტის რეაქცია ჩემთვის ბუჩქნაზე რეაქცია იყო, მე მეტსაც მოვლოდი პარლამენტი ეს არის უზადუსი ორგანი, რომელსაც დიდი შესაძლებლობები გააჩნია. ეს ძალები კი იბრუნა იმისათვის რომ არ არის გამოირცხვლი, ბევრ მათგანზე სხვადასხვა დანაშაულებების გამო აღიდგინა საქმე და ამიტომაც ისინი წინასწარ ნიადგის აშაგებენ აშაგად მამდინარობის მიყვლი რიგი გამოძიებები აუხაზეოთ და დაკავშირებით და მრავალი სხვა.

მე უპირველეს ყოვლისა ვარ პროკურორი, რაც უამრავ პასუხისმგებლობას მანიჭებს კანონისა და საზოგადოების წინაშე. მე ერთი და ორი წელი არ არის, რაც ვმოღვაწეობ პროკურატურაში და მინდა ჩემი ვალი პატიოსნად, ღირსეულად შევასრულო.

— იყო თუ არა პროკურატურაზე რაიმე ზეწოლა ვინმეს მხრიდან ვგულისხმობ პროკურო-

ანსა და მის პარტიას.

— რა თქმა უნდა, იყო ფაქტები თავის არიებისა, ამასთან, ეს პირები ცალკე მუშაობენ, კონტრამოძიებაც მიმდინარეობს. ისინი ითხოვენ პარტიის სახელით რაღაც დასკვნებს ექსპერტისაგან და სხვადასხვა ორგანო-დაწესებულებებისაგან, რისი უფლებაც მათ არა აქვთ. ისინი ყველანაირად ცდილობენ ხელი შეუშალონ გამოძიებას, მაგრამ სამართალს ისინი ვერ გაეცქვიან. ვინაიდან არსებობს უამრავი ფაქტები და ამის შესახებ დღესვე შეიძლება თამამად იქნეს მიღებული გადაწყვეტილება.

— და ბოლოს ერთი შეკითხვა: დედალიშვილთან დაკავშირებით, საზოგადოებაში დიდი აჟიოტაჟი ატყდა მისი უცვარი გარდაცვალების თაობაზე. ბ-ნო ჯამბუგა, თქვენ რას გვეტყვიოთ, მკვლელობა იყო ეს თუ თვითმკვლელობა.

— საერთოდ, ეს აჟიოტაჟი ჩემთვის გაუგებარია, ვინაიდან აჟიოტაჟი ყოველთვის მოჰყვება ხოლმე ინფორმაციის დეფიციტს. ჩვენ ეტყვიოთ, რომ ამას საბოლოოდ ეს შედეგი მოჰყვებოდა. ისე კი ალბათ დაგინტერესებთ ერთი დეტალი; გამოირკვა, რომ არსებობს ისეთი დოკუმენტი, თურნალი, რომელსაც აწარმოებდა მისი მდივანი. ამ თურნალში იყო კრედიტებზე მოხონელობა სია და ეს თურნალი წარუდგინა გამოძიებას. ალბათ დედალიშვილი რატომღაც ფიქრობდა, რომ მას უკან დაუბრუნებდნენ, მაგრამ ეს იყო საქმისთვის ძვირფასი ნივთმტკიცება და მისი უკან დაბრუნება დაუმეზღვრელი იყო. ამ გარემოებამ დედალიშვილზე ეტყვიოთ ბლიერ მტკივნეულად იმოქმედა. ისე კი იგი დაბარებული იყო სამინისტროში მოწმის სახით. არსებულმა გარემოებამ კი როგორც ჩვენ ვფიქრობთ, გადაწყვეტილება მას თვითმკვლელობაზე მიყვანა.

— როგორ ფიქრობთ ბ-ნო ჯამბუგა, დედალიშვილის სიკვდილი

ჩამოფარება თუ არა კრედიტებთან დაკავშირებულ ბევრ საქმეს ფარდა?

— ერთი შეხედვით ასე ჩანს, მაგრამ იმის თქმას, რომ ყველაფერი ასე დამთავრდება, არ ვვითარებები. გამოძიება კი თავის საბოლოო სიტყვას მაინც იტყვის.

გზადლობთ. მსაუბრა ირმა ლომაური

რომან გოცირიძე:

სახელმწიფო პროკურორის საქმესთან დაკავშირებით

(რეპორტაჟი პრესკონფერენციიდან)

მომხმობებარს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის შტაბ-ბინაში ბ-ნმა რომან გოცირიძემ გამართა პრესკონფერენცია:

შესავალში მან გააკეთა მოკლე მიმოხილვა იმ ეკონომიკური ცვლილებებისა, რომელიც მოხდა 1992 წლის იანვრიდან, მას შემდეგ, რაც დაიწყო საქართველოში ეკონომიკური რეფორმები და რომელიც შეჩერებული იქნა 1993 წლის სექტემბერში ე.წ. „ფავცაცის მთავრობის“ მოსვლის შემდეგ. ბ-ნ რომან გოცირიძემ აღნიშნა, რომ ამ საკითხზე პასუხის გაცემა თუნდაც იმითომ ღირს, რომ ყოველდღიურად გაისმის შემდეგი შინაარსის ლოზუნგი: „რეფორმა დაიწყო“. ამ უპატიოსნო პრობა-

განდისტული ხერხით ხდება ამჟამად მიმდინარე, ურთიერთგამომრიცხველი ეკონომიკური ქმედებების არა მარტო რეფორმად მონათვლა, არამედ იმ უდიდესი წვალებითა და მრავალ წინააღმდეგობათა დაძლევის შედეგად საქართველოში საბაზრო ეკონომიკის საფუძვლების ჩასაყრელი გატარებული შრომის იგნორირება. ეს ხდება სწორედ იმ ადამიანთა მიერ, რომლებიც იყვნენ პირველი მოწინააღმდეგეები რადიკალური გარდაქმნების, რომელთა წინააღმდეგობის დაძლევა უხდებოდა მაშინდელ რეფორმატორთა მცირეოდენ ჯგუფს; ეკონომიკური რეფორმის შტაბის სახით.

ბ-ნმა რომან გოცირიძემ წაიკი-

თხა იმ 50-ზე მეტი ფუნქციონირებელი დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელიც შექმნეს საქართველოში შერეული ეკონომიკა, ჩამოყალიბდა საბაზრო ინფრასტრუქტურა. მოკლედ მიმოიხილა 1992 წლის 29 იანვარს მიღებული დადგენილება ფასების ლიბერალიზაციის შესახებ. მან აღნიშნა, რომ განსხვავებით ამჟამინდელი ფასების მომატებისა, ეს იყო კომპლექსური ღონისძიება, რომელიც ტარდებოდა სხვა აუცილებელი ქმედებების ფონზე. სწორედ მაშინ დაიწყო პრივატიზაცია (მიწების, ბინების, მცირე ბიზნისის), მოხდა ვაჭრობის სრული გათავისუფლება, დაიწყო საწარმოთა და მმართველობითი სტრუქტურების (სამინისტროები

და ა.შ.) ფუნქციონირება რადიკალური შეცვლა, დაიწყო საწარმოთა აუცილებელი აქციონირების პროცესი. ამ ღონისძიებათა გატარების შემდეგ შესაძლებელი გახდა 1991 წლის 1 აპრილიდან განთავისუფლებულიყო ფასები ნავთობზე და ნავთობპროდუქტებზე, სატივროთი გადახიზდვაზე, ხორცისა და რძის ნაწარმზე და ა.შ. ფასწარმოქმნის ყოველგვარი არასაბაზრო ნორმატიული შეზღუდვებისაგან განთავისუფლება კომერციული (მათ შორის სახელმწიფო საწარმოები) სტრუქტურები. აღდგეს ალბათ ცოტას თუ ახსოვს ის, რომ ბენზინი ამ ორიოდ წლის წინათ ფიქსირებულ ფასებში იყიდებოდა. საბაზროდ ბენზინზე დეფიციტი იყო.

მასზე 'ფასის განთავისუფლების დღიდან ბენზინზე რიგები რომ გაქრა ამას იმდენად შეგვიფიქრო, გვაფიქვდება რა სინელებების ფასად გვიხდება ყოველი ასეთი გადაწყვეტილების მიღება“ აღნიშნა ბატონმა რომან გოცირიძემ. მისი აზრით თუკი სახელმწიფოსგან მიტოვებულმა და უხელფასოდ დარჩენილმა მოსახლეობამ შეძლო თვითორგანიზებისა და თვითგადარჩენის ალტერნატიული, არასახელმწიფო გზების გამოიხატვა, ეს არის ძირითადი წინააღმდეგობა: პირველი თავისუფალი ვაჭრობის შემოღება და ფასების ნამდვილი ლიბერალიზაცია.

მეორე — ბინების პრივატიზაცია, რომლის თავისუფალმა ყიდვამ გააყვამა გადაარჩინა ბევრი ოჯახი.

მესამე — მიწების ღირებულება. აქვე მან დასძინა, რომ ყველა მთავრობა, რომელიც იყო 1991 წლის მოვლენების შემდეგ ხელისუფლებაში მოსული, მთელი თავისი თითქმის სრული შემადგენლობით იყო რეტროგრადული და ტექნოკრატ-

პირველი გვერდიდან

გაოგნებულნი, ზოგნი დამწუხრებულნი. ნათამე კედელთან არის მიყენებული და მარჯვნიდან გაზეთი ჯიჯინის, მარცხნიდან პარლამენტის რამდენიმე დეპუტატი.

— უღანაშაულობის პრეზუმციას ვერ დავარდევ, ნათამის საქმეს პროკურატურა იძიებს და მერმე ვისაუბროთ. — ტელიკოვს რანის წინ კობტაპროფობენ [redacted] ადრე რომ ხაკულტულტურული სახელი ერქვათ და თავად „პატიოსანნი“ ნათამის პარტიონებში აეჭვებენ ტელემაყურებელს...

განმკითხავი არაფერ ჩანს, ან. რატომ უნდა ჩანდეს. ხომ იცრუა ნათამემ, აფხაზეთის ფონდს არ ვიცნობთ, ხომ გამოაყოფინა კრედიტი 40 თუ არა 20 მილიარდის ოდენობით მაინც მთავრობას ფონდისათვის? ხომ გაქრა ეს ფონდიც და კრედიტის ნახევარიც? ხომ შეიძლება თავდაც მოვებო ხელი, როგორც ეს „ლიტერატურულმა საქართველომ“ ივარაუდა?

მაშ რა დასაცავია ეროვნული მოღვაწის სახელს ამოფარებული ასეთი დეპუტატი?

არც დაიცვეს!
ქვე და გუნდა არ დააკლეს!
[redacted] დროებითი საპარლამენტო კომისია [redacted] რომელსაც ბოლო სიტყვა უნდა ეთქვა. პარლამენტმა მას მიანდო კაცის ბედის გადაწყვეტა, და, აი, ალექსი კობაიძემ, თავმჯდომარემ კომისიისა, ეს დასკვნაც გვაცხადებს.

[redacted]

საქართველოს პარლამენტს „აფხაზეთის აღორძინების საერთაშორისო ფონდის“ საქმიანობის შემსწავლელი საპარლამენტო დროებითი კომისიის დასკვნა

საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 28 ივნისის სხდომის გადაწყვეტილების შესრულების მიზნით კომისია თანახმაა მოპოვებული მასალები შემდგომი მსვლელობისათვის გადაეცეს საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურას, რომელმაც ა/წლის 29 ივნისს აღძრა სისხლის სამართლის საქმე აღნიშნული ფაქტის ირგვლივ გამოძიების ჩატარების მიზნით.

კომისიის მუშაობის შედეგად გამოირკვა შემდეგი:

აფხაზეთის აღორძინების საერთაშორისო ფონდის შექმნისა და რეგისტრაციის პროცედურა მიმდინარეობდა ყალბად და მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, რაზეც მთლიანი პასუხისმგებლობა ეკისრებათ საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მუშაკებს, რაც ალბათ მათთვის ცალკეულ შემთხვევას არ უნდა წარმოადგენდეს (ფონდი „დაფუძნდა“ 1993 წლის 15-27 ივლისს).

„ფონდის“ შექმნაში დარღვევების გამო საქართველოს პარლამენტის წევრებს, არსებული მასალების მიხედვით, მონაწილეობა არ მიუღიათ.

„ფონდთან“ ურთიერთობა 1993 წლის 6 სექტემბრიდან დაამყარა საქართველოს პარლამენტის წევრმა, თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომისიის თავმჯდომარემ (კომისიაზე საკითხის განხილვის გარეშე) ბატონმა ნოდარ ნათამემ, რომელმაც, მასალების მიხედვით, უშუალოდ მოითხოვა „ფონდისათვის“ 40 (ორმოცი) მილიარდი კუპონის გამოყოფა, რაც შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების ხელმძღვანელთათვის გახდა საკითხის დადებითად გადაწყვეტის საფუძველი, თუმცა მოქმედი კანონიერების დაცვის შემთხვევაში, როგორც ბატონ ნოდარ ნათამის, ასევე სხვა თანამდებობის პირთა მხრიდან ასეთი დარღვევები (ან დათმობები) დაუშვებელია. აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ გამოყოფილი თანხების კონვერტაციაში თუ დასაქონლე-

კანია აღაპიანო?!

ბაში მონაწილეობდნენ (მათი განცხადებით) საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრები, ბატონები ვასილ გოცირიძე და კონსტანტინე ბერიძე, რაც ცალკე შესწავლას მოითხოვს.

დღევანდელი მდგომარეობით კომისიის მოწერილობაზე ან თხოვნაზე არ უპასუხეს თავდაცვის სამინისტრომ (იხილეთ მასალები) და პარლამენტის წევრებმა ბატონებმა პაატა კოლუაშვილმა, ვასილ გოცირიძემ და კონსტანტინე ბერიძემ, ხოლო ბატონმა ნოდარ ნათამემ ნაწილობრივ განმარტა თავისი დამოკიდებულება ფაქტების ირგვლივ, თუმცა აღსანიშნავია, რომ მისი პასუხები ან სინამდვილეს არ შეეფერება ან არ პასუხობს კითხვებს, კერძოდ: ოფიციალურად აცხადებს, რომ „ფონდს“ არ იცნობს, თუმცა ოფიციალურადვე შუამდგომლობს მისთვის მილიარდობით თანხების გამოყოფას და შემდგომ „არ ინტერესდება“ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მიზნით გამოყოფილი თანხების ბედით.

1994 წლის 22 ივნისს გვასუხობს, რომ კომისიის დებულება აქვთ, კითხვა კი ეხება იმ ბერიძეს, (1993 წლის სექტემბერს), როცა შუამდგომლობას აღძრავდა მილიარდობით თანხების გამოყოფაზე, ხოლო მათ დებულება ხელმოსაწერად წარადგინეს ა/წლის ივნისში.

აქვე აღვნიშნავთ, რომ უკანონობა ხელი მოაწერო ყოველად უწყინარ დოკუმენტსაც კი, როცა დაპარაკია კომისიის სახელით და საკითხი კომისიისთვის უცნობია. ხამწუხაროა ის ფაქტი, რომ პარლამენტის მუდმივი კომისიების დაახლოებით 80 %-


მა დღემდე ვერ შეიმუშავეს ორ-სამ გვერდიანი დებულება თავიანთი საქმიანობის რეგლამენტაციისათვის, ქვეყნის მართვის პრეტენზია კი უდღესი აქვთ. დებულების არსებობის მიზანი და დანიშნულება არის ის, რომ კომისიებმა იცოდნენ როგორ და რა საკითხებზე, რა უფლებამოსილებით უნდა იმუშაონ და მიიღონ გადაწყვეტილებები.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ბატონ ნოდარ ნათამეს, როგორც პირადად, ისე კომისიის სახელით არა ერთხელ წაუყენებია სხვადასხვა უწყებების ხელმძღვანელებისათვის „ფონდის“ შექმნამდე და მას შემდეგაც, ისეთი მოთხოვნები, რისი უფლებაც მას არა აქვს, მაგრამ კომისიის არც იმ ფაქტების ირგვლივ გასცა პასუხი, კერძოდ:

1993 წლის 11 იანვარს ბატონი ნათამე კომისიის სატიტულო ფურცელზე დაწერილი წერილით საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის ფონდის თავმჯდომარეს (ჰ.ამირეჯიბი), როგორც მისი მოადგილე და ამავე დროს საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე, სთხოვს ხუთი მილიონი მანეთის ხელზე გაცემას თავდაცვის სამინისტროს 77-ე ბატალიონის მეთაურ ზღუმბაძეზე;

1993 წლის 29 მარტს იმავე პირზე მოითხოვს ერთი მილიონი მანეთის გაცემას;

1993 წლის 19 ნოემბერს (11/950) კომისიის სახელით გასცემს დოკუმენტს ვინმე სტეფანე მნაცავანის ძე აბგაროვზე, როგორც კომისიის სრულუფლებიან წარმომადგენელზე გაფართოებული უფლებამოსილებით;


საპარტიკლოს პარლამენტი
თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომისია
ПАРЛАМЕНТ ГРУЗИИ
КОМИССИЯ ПО ОБОРОНЕ И НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ
ПАРЛИАМЕНТ OF GEORGIA
COMMISSION ON DEFENCE AND NATIONAL SECURITY

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარეს
ბატონ **ა. ჯ. ფაცაციას**

თავდაცვისა და უშიშროების კომისია შუამდგომლობს თქვენს წინაშე,
რათა გასცეთ სესხად /გადარიცხვით/ 40 მილიარდი /ორმოცი მილიარდი/ კუპონი „აფხაზეთის აღორძინების საერთაშორისო ფონდზე“ ორი წლის ვადით და შინიშაღური პროცენტით, რათა ამ ფონდის მიერ შედგენილ იქნას ჩვენს პროფილის შესაბამისი სათანადო ნაფუძვლი.

ამავე დებულებით შუამდგომლობს თავდაცვის სამინისტრო, კომისიის თავმჯდომარე **ნათამე**

6 სექტემბერი 1993

დოკუმენტი № 1

1994 წლის 12 ივნისი (№ 11/1100-2) გაცემული დოკუმენტით იმავე ს.ამბაროვს ენიჭება უფლება გადაადგილდეს საქართველოს ტერიტორიაზე (ა/მანქანით ლ 5903 არ) და მოითხოვს საქართველოს ავტონსპექციისაგან, საბაჟო სამსახურებისაგან, სასაზღვრო და სამხედრო პოლიციისაგან მისთვის ხელშეწყობას.

გაითვალისწინა რა ყოველივე აღნიშნული, კომისია მიიჩნევს, რომ საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომისიის თავმჯდომარე ბატონი ნათამე, სისტემატურად აჭარბებს თავის უფლებამოსილებებს და აყენებს პარლამენტში საკითხს გადასაწყვეტად მისი თანამდებობრივი უფლებამოსილების მიზანშეწონილობის თაობაზე.

ცნობად იქნეს მიღებული, რომ ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, შესაბამისი საგამომძიებო მოქმედებების შესასრულებლად და გადაწყვეტილებების მისაღებად, რის გამოც მასალებს უგზავნის გენერალურ პროკურორს, სთხოვს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტს განიხილოს პირველ რიგში იმ მუდმივი კომისიების თავმჯდომარეთა საკითხი, რომელთაც ჯერ კიდევ არ მოუხდენიათ თავიანთი საპარლამენტო საქმიანობის რეგლამენტაცია.

ასლი სწორია: დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე ალექსი კობაიძე

22.09.1994 წ.
ამ დასკვნით გასრულდა 1994 წლის 17 მაისიდან ატეხილი კამპანია ნოდარ ნათამის წინააღმდეგ, მართალია, იგი ხაზინის ქურდობაში ვერ ამიხლეს, მაგრამ [redacted]

[redacted] საზოგადოებას განუმტკიცეს აზრი, რომ ლაშქრობა მის წინააღმდეგ უსაფუძვლოდ არ დაწყებულა...

ახლა მე დავიწყებ ამ ტრაგიკომედიის ანალოზს და თავის დასკვნას საგამომძიებო კომისიის თავმჯდომარეს თქვენს თვალწინ თავზე გადავახვე. მაშ ასე, აღიჭურვე მოთმინებით და მომეცე მკითხველო. რამდენიმე წუთის შემდეგ თქვენს თვალწინ გადაიშლება ეს ბნელი საქმენი, რაც ამა სოფლის ძლიერთა შეკვეთით „იკერება“.

მცირე გადახვევა.
აფხაზეთის აღორძინების საერთაშორისო ფონდის საქმესთან დაკავშირებული ისტორია ასეთი ვახლავთ.

1993 წლის მაისში, ომის დროს, ერთი ჩვენი მეგობარი სახელმწიფოს წარმომადგენლები დაუკავშირდნენ დეპუტატ ვაგოცირიძეს და საქართველოსათვის ხელსაყრელი გარიგების პირობებში შესთავაზეს ჩვენთვის საჭირო ნივთები.

სახელმწიფომ ამ ნივთების შესაძენად თანხა არ გამოყო.

ამის შემდეგ მოიძებნა ფირმა, ეს ე.წ. აფხაზეთის აღორძინების ფონდი, რომელიც კისრულობდა სესხის აღების შემთხვევაში ნახევარი თანხით შემოეტანა ეს საჭირო ნივთები, მეორე ნახევარი კი კომერციული საქმიანობისათვის გამოეყენებინა, რათა შემდგომ დაებრუნებინა მთლიანი სესხი.

1993 წლის 6 სექტემბერს დეპუტატი გოცირიძე და თავდაცვის მინისტრის მოადგილე (ვგონებ ოფიციალურ პირობად ითვლებიან) მილიან თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომისიის თავმჯდომარესთან და ამ ნივთების შემოტანის მიზნით, სთხოვენ დახმარებას, შუამდგომლობა-ხელმოწერას. ნათამეს რომ ამ შუამდგომლობაზე ხელი არ მოეწერა, დღეს შეიძლება იმაზე ატეხილიყო გნასათ, თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომისიის თავმჯდომარე ჩვენთვის საჭირო ნივთების შემოტანას ხელი შეუშალა...

ნათამე 6 სექტემბერს ხელს აწერს შემდეგ დოკუმენტს: (იხ. დოკუმენტი № 1)

საპარტიკლოს რეპაზუბლიკის მიმართ კაბინეტის თავმჯდომარეს ბატონ **ა. ფაცაციას**

თავდაცვისა და უშიშროების კომისია შუამდგომლობს თქვენს წინაშე, რათა გასცეთ სესხად (გადარიცხვით) 40 (ორმოცი) მილიარდი კუპონი „აფხაზეთის აღორძინე-

კულტურა

შეამოქმედება უსაბარტლოვის ნინააქაძის მიხედვით

(ნიკო ნიკოლაძის დაბადებიდან 150 წლის გამო)

მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში აღინიშნება დიდი მამულიშვილის ნიკო ნიკოლაძის (1843-1928) დაბადებიდან 150 წლისთავი. ნიკო ნიკოლაძის მრავალმხრივი პუბლიცისტური მოღვაწეობიდან ყურადღებას იმსახურებს მისი მოსაზრებანი საჯაროობის როლზე ქვეყნის განვითარებაში. კერძოდ, რა ზემოქმედების მოხდენა შეუძლია პრესის ფუნქციონირებაში ნიკო ნიკოლაძის განხილვისას, ეხება აგრეთვე მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მნიშვნელობას ობიექტივური საზოგადოების განვითარების საქმეში. ეს დღისათვისაც აქტუალური და გამოდინარე აქედან გაუხუხარი აზრები ნიკო ნიკოლაძის გამოთქმული აქვს მოცულობით პატარა წერილში — „პრესა და სასამართლო“, რომელიც პირველად გამოქვეყნდა გაზეთ „ობზორში“ — (29 იანვარი, 1880) და შესულია მისი თხზულებების მე-7 ტომში (1985, გვ. 456/461).

ხსენებული წერილის შესავლიდან ირკვევა, რომ იმ დროისათვის პრესაში მსჯელობის საგანი გამზდარა საკითხი იმის თაობაზე — საჭიროა თუ არა საჯაროობა წინასწარი გამოძიების დროს. საყოველთაო საბრძოლო — შენიშნავს ნიკო ნიკოლაძე, — წინასწარი გამოძიება სასამართლო პროცესის მთავარი მოწინააღმდეგეა და ამასთანავე, ეს პროცესი საჯაროა. მაგრამ ნიკო ნიკოლაძის სწორედ აქ შეაქვს გარკვეული ეჭვი და აღნიშნავს, რომ განა საჯაროობა უსაბარტლოვის გამო სასამართლო პროცესის დასაწყისში, იქადავოება და პროკურორების შეჯიბრების მოქმედებით, დაწვრილ ყოველივე ამაზე ანგარიში და შემდეგის გაზეთებში გამოქვეყნება? „საზოგადოებრივი ფაქტებისადმი ეს უსიტყვოდ და პასუხის დამოკიდებულება, სწორედ მათი გამოვლინების უკანასკნელ მომენტში, განა საჯაროობა? კითხულობს ნიკო ნიკოლაძე და დასკვნის, რომ ეს საჯაროობა კი არა, ხმის გაქმნა და ასეთი საზოგადოებრივი აზრი ვერავითარ ზეგავლენას ვერ მოახდენს თვით ფაქტზე.

განათლებულ ქვეყნებში ეს ასე არ ხდება, აღნიშნავს ნიკო ნიკოლაძე და ამის დასაბუთებლად განიხილავს ორ მაგალითს საფრანგეთის ცხოვრებიდან. მისივე შენიშვნით — „ეს მაგალითები შესაძლებელია თვალსაჩინო დადასტურება იყოს იმის, თუ რა მნიშვნელობა აქვს პრესისა და საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედებას საჯაროობის სასამართლო საქმის წარმოებასა და თვით ამ საქმის გადაწყვეტაზე“.

პირველი მაგალითი გამოჩენილი ფრანგი განმანათლებლისა და ფილოსოფოსის ვოლტერის სახელთანაა დაკავშირებული. კერძოდ, ვოლტერს პრესის მეშვეობით საზოგადოებრივი აზრი მიუხერხდა და ამ გზით რამდენიმე მსჯავრდადებული უსწინა უსაფუძვლო მსჯავრისაგან. მათგან აღსანიშნავია ვოლტერის გამოქვეყნება 72 წლის კალასისადმი, რომელსაც ტულუზის პარლამენტმა ეტლის თვლით ნაქუწ-ნაქუწად ქცევით სიკვდილით დასჯა მიუსჯავ (კალასმა, თითქოსდა სარწმუნოებრივი ფანატიზმით, საკუთარი შეიღობით მკვლელობამდე მიიყვანა).

ვოლტერი გაეცნო კალასის საქმეს და მას სპეციალური თხზულება — „შემწყნარებლობის შესახებ“.

მიუხედავად ამ გზით მან ალაპარაკა პრესა, შექმნა საზოგადოებრივი აზრი, რამაც საფრანგეთის სახელმწიფო საბჭო აიძულა გამოეთხოვა კალასის საქმესთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი და საბოლოოდ ეს განაჩენი უსაფუძვლობის გამო გაუქმებინა. ასევე იხსნა ვოლტერმა სხვა მსჯავრდადებულნი. ვოლტერის გარკვეული მიღებული შედეგებთან დაკავშირებით ნიკო ნიკოლაძე აღნიშნავს, რომ „აქ საზოგადოებრივი აზრის ცოცხალი ძალა, მოაზროვნე და ენერგიული ხალხის ცხოველი ნებასუფილი, მართლაც, ყოველგვარ კანონზე მაღლა დგას“. ვოლტერს, საზოგადოებამ, ისტორიამ ამ თავგამოდებისათვის სათანადო მიაგო და ამ უბრალო ადამიანების დაცვა შესანიშნავი გმირობა და ჩაუთვალა, რაც იმის შეგლის კვარცხლბეკზე წარწერაშიც აღინიშნა.

მეორე მაგალითი „სევილიელი დალაქისა“ და „ფიგაროს ქორწინების“ სახელგანთქმულ ავტორს ბომარშეს ეხება. ბომარშეს, გარდაცვლილი მგელის მემკვიდრეობიდან საკუთარი წილის მისაღებად დიდი წინააღმდეგობები შეხვედრია, მაგრამ სიძნელეებს არ შეუშინდა და ბოლომდე იბრძოდა. თავის „მემუარებში“ ბომარშე „გაბოროტებისაგან ლამის წინასწარმეტყველად ქცეული, იგი ყველგან ავლენს და სასამართლო გამოაქვს ყველა ის საშინელი ინტრიგა და ბოროტმოქმედება, რომელიც სულს უხუთავდა საფრანგეთის მართლმსაჯულებას“. მეოთხე „მემუარში“ კი ბომარშე გამოთქვამს თავის ერთობ საყურადღებო და კატეგორიულ აზრს ერის უზენაესობაზე, რასაც ნიკო ნიკოლაძე სიტყვა სიტყვით იმორწმუნებს: „მართალია, ვერ არ ხის იმ ადამიანთა საეარძლებში, ვისაც განაჩენი გამოაქვს ხოლმე, მაგრამ მისი დარბაისლური ხილვა მთელს საქრებულოს მოიცავს. თუმცა ვერ არასოდეს ყოფილა კერძო პირთა მსჯავრდებულები, მაგრამ იგი, სამაგიეროდ მსჯავრდებულებთა მსჯავრდებულებია“.

ნიკო ნიკოლაძე იმასაც ამბობს, რომ ამ ბრძოლაში ბომარშე ყოველთვის როდი იყო ანგელოზი — ქრთმაც კი მიმართა საქმის მოსაგებად. „ამაზე აღმაშფოთებელი რაღა უნდა იყოს?“ კითხულობს იგი, მაგრამ მისივე შენიშვნით ფრანგთა საზოგადოებამ ბომარშე გმირად გამოაცხადა, რადგანაც მან უღმობლად ამხილა არა მხოლოდ სასამართლო წარმოების სიბინძურე, არამედ მთელი ევროპის საზოგადოების სიდაბლე. სწორედ ამგვარი მოქმედებით განპირობებულმა ენერგიული ხალხის შეერთებულმა ძალამ დაამხო ძველი წყობილება — დააკვირნის ნიკო ნიკოლაძე.

საბოლოოდ ნიკო ნიკოლაძის აზრით — პრესამ, რომელიც საზოგადოებრივი აზრის გამოხატველია, შეიძლება კეთილი ზეგავლენა მოახდინოს არამარტო სასამართლო საქმის წარმოებაზე, არამედ კანონით მიღებულსა და უკვე ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზეც. იქვე, ნიკო ნიკოლაძე იმასაც შენიშნავს, რომ თუკი პრესა ყოველთვის ვერ იხსნის ადამიანს მსჯავრისაგან, თვალს მაინც აუხეხს საზოგადოებას და დანახევებს სასამართლო საქმის წარმოების მოქმედებულობას.

ნიკო ნიკოლაძე იმასაც კარგად ხედავს, რომ ჩვენ პრესას დიდი ხანი ჭირდება ვიდრე საზოგადოებრივი აზრის მსგავსად ზეგავლენას მოახდენს ჩვენს ცხოვრებაზე. ამას მოყვება ნიკო ნიკოლაძის შორსმჭვრეტელური და დღესაც აქტუალური შენიშვნა: „მაგრამ განა ეს დრო თა-

ვისთავად მოვა? განა ჩვენ უნდა ეღუფდეთ, როცა საზოგადოება დაინტერესებულია, დღესაც და იღვწის ამა თუ იმ გადაწყვეტილებას შეუმოწმებელ ფაქტებსა და ჭორებზე დამყარებულს?“. ნიკო ნიკოლაძე ასე აყენებს საკითხს: რა სჯობია — გამოძიებულება — უბრალო მოკვლეობა, წინასწარი ეტონდენ თავისი საქმე შემოწმებული და გამოკვლეული ფაქტების საფუძველზე თუ მხოლოდ მითქმა-მოთქმასა და ჭორებზე დამყარებულ ავტორიტეტს დგას იმ აზრზე, რომ პრესაში საჯაროდ გაცხადებული ფაქტები ხელს არ შეუშლის სასამართლო საქმის წარმოებას. განა პრესის მიერ წინასწარ გაუფრთხილებლმა ტულუზის პარლამენტმა 72 წლის კალასს უსაფუძვლოდ არ გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი? განა, ასევე პრესის მიერ გაუფრთხილებლმა მოსამართლემ პაუკანამა ორგე მზარეს არ გამოართვა ქრთმა? ბოლოს კი ის გაიმართლა, ვინც უფრო მეტი ქრთმა მისცა. „ეს პროცესები, — წერს ნიკო ნიკოლაძე, — მთელსაფრანგეთში, მთელს ევროპაში შეხვედრა და ისტორიის ფურცლებში ჩასწერა მომავალ თაობათა საგულსხმოდ“.

როგორც ვხედავთ ნიკო ნიკოლაძე პრესის ჩარევას, საჯაროობას სასამართლო საქმის წარმოებისას, აუცილებლად მიიჩნევს და ამასთან თვალსაჩინო მაგალითების განხილვით ნათლად აჩვენებს, რომ გამოჩენილი და ადამიანთა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობას შეუძლია უმართებულო სასამართლო გადაწყვეტილებათა შეცვლა. ნიკო ნიკოლაძის ეს წერილი დღევანდლობის პოზიციიდან სწორედ ამ კუთხითაა განსაკუთრებული. მხედველობა ის გვაქვს ის გარემოება, რომ დღეს, როცა ასეთმა ქალსმა მოიცვა ქვეყანა, როცა ერთმანეთში აირია სიმართლე და სიჭრუე, სიკეთე და ბოროტება და ა.შ. ამ დროს ერის მოწინავე შეიღობის მართალ სიტყვას, სინდორმატიკო საშუალებების ობიექტურობას და საჯაროობას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის გადარჩენისათვის ბრძოლის გზაზე. სამწუხაროდ, ქვეყნისათვის ამ მიზეზ ყმას, ვისაც ეს უპირველესად უფრთხილი, ან დღესი ამჟამინეს, ან კიდევ უმეტეს შემთხვევაში გზაბნეული ხელისუფლების პოლიტიკური კურსის გუნდრუკის მემკვიდრეობა მოგვევლინა.

ბევრ ჩვენ გამოჩენილსა თუ ცნობილ პიროვნებას უბრალოდ დაიფიქრდათ ის ანბანური ჭეშმარიტება (ეს ყველაზე მეტად მწერლების, ხელოვანთა და მეცნიერთა მისამართით უნდა ითქვას), რომ: „შემოქმედება — უსამართლობის წინააღმდეგ მიმართული მუდმივი ამბოხია. ლიტერატურას უჩვენია მოკვლევა მას არა აქვს უფლება, თუკამო ბეული მისილი დგას, ანდა დამბული იყოს ხელისუფლება და კავშირი. მხოლოდ ასეთ პირობებში არის ლიტერატურა საზოგადოებისათვის სასარგებლო“ — (ხულიო კორტასარი). საქმისადმი და საკუთარი მოვალეობისადმი სხვანაირი დამოკიდებულების ლიტერატურა შედეგს სახეზე: ქვეყანა უფსკურითსა და მიუქანება (თუ საბოლოოდ არაა გადაჩენილი!).

ნიკო ნიკოლაძის საუკუნეზე მეტი ხნის წინანდელი გაუხუხარი აზრების გახსენებამ იქნებ ყველა თუ არა, ზოგიერთი მაინც ჩააფიქროს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობაზე, პრესის როლსა და ნამდვილი საჯაროობის აუცილებლობაზე.

მიხეილ მახარაძე

სახეზეა არაკომპეტენტური და უცოდინარობა

მესამე გვერდიდან

პარტოკრატებით დაკომპლექტირებული, რაც გაკეთდა, მოხდა ცალკეული პირებისა და ეკონომიკური რეფორმის შტაბის ძალისხმევით, რომლის დაიწყება არ შეიძლება.

ბუნებრივია იყო შეცდომებიც, იყო დაუშლველი სიმძნელები, მაგრამ თქმა იმისა, რომ საქართველოში ნამდვილი რეფორმა დაიწყო 1994 წლის 1 სექტემბერს ნორმირებულ პურზე ფასების გადიდებით, არის სიმართლის მიჩქმალვისა და მოსახლეობის მოტყუების მცდელობა.

ბ-ნმა რომან გოციორიძემ თქვა, რომ პირადად მისი მთავრობაში მოღვაწეობის იმ პერიოდს მიიჩნევს ნაყოფიერად, როცა ახლანდამოსულ სახელმწიფოს მეთაურს ეკონომიკისათვის არ ეცალა... (თუმცა როგორც აღნიშნა, მთავრობის წევრთა უმრავლესობა არც მაშინ იყო რეფორმებისათვის თავგადადებული და ხელის შეშლის მეტი არაფერი უქვებიათ.

არს-კონფერენციის ძირითადი ნაწილი დაეთმო ამჟამად მიმდინარე მოვლენებს, რომელიც პირობითად შეიძლება შემდგენიარად დაეყოთ:

1. პურისა და ფასების საკითხი — ხელისუფლების მიერ დაწყებული ფასების მომატება, როცა შენარჩუნებულია პური ნორმირებული ვაჭრობა, დატოვებულია კვლავ პურზე მნიშვნელოვანი დოცია, რომელიც ეძლევა ყველას, განურჩევლად იმისა, სჭირდება თუ არა ასეთი დანახრება ადამიანს, როცა წარმოებული პურის 99 პროცენტი მოდის ერთადერთ სახელმწიფო მონოპოლიტზე — პურბოლოდუქტების კონპორაციაზე, როცა არ არის ეს ატრუქტურა დეცენტრალიზებული, ხოლო პურის ფქვილის სახელმწიფო მარაგი არაა თავისუფალ ვაჭრობაში, რამდენიმე თვის შემდეგ მოსახლეობა დადგება იგივე პრობლემის წინაშე, როგორც ამჟამად. ფასები კვლავ მოსამატებელი გახდება, მოსახლეობა კი კვლავ დაუცველი.

2. სოციალური დაცვის საკითხი. ხელისუფლებამ 1 წლის განმავლობაში ვერ დაადგინა, ვის უჭირს და ვის არა, ვის სჭირდება დანახრება და ვის არ სჭირდება.

კომპენსაციების ადამიანს ყველაზე, ხუთ მილიონ ადამიანზე (ირობად, დოციაციის სახით) და თითქმის ორ მილიონ ადამიანზე პირდაპირი სახით, (მხოლოდ ადამიანთა უკანასკნელ კატეგორიაზე, ყოველთფორად დამატებით გასაცემია ბ ტრილონი კუპონი), არარეალურს ხდის როგორც გაჭირვებულთა დაცვას, ასევე ბიუჯეტის დეფიციტისა და შენაშამისად ინფლაციის შეჩერებას. ამბობენ, რომ სოციალურად დაუცველი ფენებია სტუდენტობა, პენსიონერები და ა.შ. თუმცა ამ სტუდენტსა თუ პენსიონერს შეიძლება ოჯახში ჰყავდეს ბიზნესმენი, ბანკირი თუ საკვალტუო შემოსავლის წყაროს მქონე სხვა პიროვნება. შეუძლებელია სოციალურად დაუცველი ადამიანის გამოვლენა მსხვილ სოციალურ ჯგუფებად კლასიფიკაციის პირობებში. აუცილებელია საოჯახო შემოსავლების საფუძველზე, შემოსავლების დეკლარირების მეშვეობით განვასხვაოთ ღარიბი და მდიდარი. მოკლედ, საჭიროა სელექციური, გამორჩევი სოციალური პოლიტიკის გატარება და არა მასობრივი ქველმოქმედება.

3. სახელმწიფოს მეთაურის ბოლოდროინდელი განარგულების შესახებ.

პრივატიზაციის შესახებ დადგენილებით მთელი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დარჩა რეალური ქონების გარეშე. ვაუჩერებმა დაკარგეს აზრი, რადგან ვერცერთ საწარმოში ამ ბარათების მეშვეობით ვერაინ შეძლებს ფლობდეს საკონტროლო პაკეტს. ვაუჩერების პატრო-

ნები შეიძლება გახდნენ მხოლოდ რიგითი მუშაეები მათთვის გამოყოფილ რადაც ჩარჩობაში, რადგან საკონტროლო პაკეტი უკვე წინასწარ გადაეცა მთავრობისა თუ სხვა გაყენიანი შეიარაღებული თუ შეუიარაღებელი პირების წარმომადგენლებს. შრომით კოლექტივების ნიღბით და მათი სახელით ხდება ქონების გატაცება „პლიგროთ ამა ქვეყნისაზე“. ფაქტიურად მოისპო გარედან ინტელექტუალური და ფხიანი ადამიანების საწარმოებში შესვლის შესანი.

შემნახველი ბანკის აქციონერების წესს ბ-ნმა რაკოცირიძემ უწოდა უპრეცედენტო. ხოლო ბანკს — „საბანკო კოლოზი“.

რაც შეეხება დადგენილებას ბანკებისათვის სამეურნეო საქმიანობის უფლებების მიცემის შესახებ, იგი განიხილა როგორც მნიშვნელოვანი უქსეგლა საბანკო სისტემის ფორმირების გზაზე.

4. კუპონი და საფინანსო საკითხები

ბ-ნ რომან გოციორიძის აზრით შეუძლებელია რაიმე სერიოზულ რეფორმაზე საუბარი, სანამ არ გადაწყდება კუპონის ფუნქციების სწორად განსაზღვრის, უფრო ზუსტად, მისი ნორმალურ რეჟიმში აღდგენის საკითხი. საქართველოში შექმნილი ერთობლივი შიდა პროდუქტის მხოლოდ 1% შედის ბიუჯეტში. დანარჩენი ფაქტურად ხელისუფლებამ იძულებით მოაქცია ფარულ, არალეგალურ ბრუნვაში მრავალფაფეობიანი რეჟიმის და შევებით. ბიუჯეტში შემოსის თანხა წარმოებული პროდუქტის იმ ნაწილიდან, რომელიც ნაჩვენებია საკუპონე ბრუნვაში. ძირითადი ოპერაციები კი წარმოებს რუსულ მანეთებში და დოლარებში, რაც ბიუჯეტში მიღებს რჩება. როცა მაგალითად, თბილისში კომერციული სტრუქტურებიდან ზოგიერთი გადასახადი აიკრიფება ვალუტით.

ხოლო აჭარაში — მანეთებში და ამაზე არავითარი რეაგირება არ ხდება, ეს მიუთითებს ყოველგვარი ფულადი და საფინანსო პოლიტიკის უქონლობაზე.

5. ხელისუფლებისა და კადრების საკითხი

ბ-ნ რომან გოციორიძის აზრით, შექმნილი მძიმე მდგომარეობა გამოწვეულია იმით, რომ მიმდინარეობს ბრძოლა ძალაუფლებისათვის. ხელისუფლების წარმომადგენლებს საკუთარ საქმეზე დარდი და მოსახლეობის თვალში „რეიტინგის“ შენარჩუნება უფრო მნიშვნელოვანდ მიიჩნიათ, ვიდრე საქვეყნო საქმე. სახეზეა აგრეთვე არაკომპეტენტურობა და უცოდინარობა. იმ ადამიანებზეც კი, რომლებიც ხელისუფლებაში არიან და შედარებით კომპეტენტურებად ითვლებიან, ბ-ნმა რაკოცირიძემ ბრძანა, რომ ისინი არიან მხდალები და მამებლები. ისინი ამბობენ არა იმას, რაც სწორად მოიხიანთ, არამედ იმას რაც სახელმწიფოს მეთაურს მოეწონება. ხელისუფლებაში მხოლოდ იმ ადამიანებს შეუძლიათ თავიანთი მმართველობითი ფუნქციის ღირსეულად შესრულება, რომელთაც აქვთ გამბედაობა, გარკვეული ფსიქონომიკური კონსტრუქცია, ხასიათი. შეშინებული ტიპები და რეფორმები შეუთავსებელი ცნებაა, დასძინა ბი.

P.S. იმევე საღამოს ტელევიზიის მეორე არხით გადაცა სოფეტი პრესკონფერენციის შესახებ. ამ სოფეტში ჟურნალისტი საკუთარი „მავილგონიერებით“ უფრო კოცობდა, ვიდრე პრესკონფერენციის შინაარსის ობიექტური გადაცემით. შევახსენებთ მას, რომ ჟურნალისტის წინაობრივი ვალია ინფორმაციის სისუსტის დაცვა და არა ოფიციალური მოსაზრებათა დირექტივებისათვის ზარკის გადახდა.

მოამზადა ი. ლ. მიაშრაძე

**საქართველოს გაერთიანებული
რესპუბლიკური პარტიის
პოლიტიკური საბჭოს განცხადება**

რუსეთის საინფორმაციო საშუალებათა ცნობით, დღეს ოქტომბერს იწყება კოდორის ხეობიდან ქართული შეიარაღებული რაზმების განდევნის ოპერაცია, რაც პრაქტიკულად იმას ნიშნავს, რომ იწყება საომარი მოქმედება კოდორის ხეობის მკვიდრი ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ. ამ მოქმედების საფუძველს რუსეთის მხარეს აძლევს სახელმწიფოს მეთაურის პირადი წარმომადგენლების მიერ 4 აპრილისა და 14 მაისის შეთანხმების ხელმოწერა, რომლის ძალითაც საქართველოს შეიარაღებული ძალები უნდა გაეყვანილ იქნენ აფხაზეთის ტერიტორიიდან მაშინ, როდესაც აფხაზეთში დღესაც ფუნქციონირებს აფხაზეთის ე.წ. თავდაცვის სამინისტროც კი. ეს შეთანხმებები თვით თავდაცვის მინისტრმა გენერალმა ნადიბაიძემ შეაფასა როგორც „კაბალური“. ქართველი მოსახლეობა კატეგორიულ პროტესტს გამოთქვამს ამ შეთანხმების გამო, რომელიც კოდორის ქართველობას გენოციდის უშუალო საშიშროების წინაშე აყენებს. გასული უარს აცხადებენ გასული დაბრუნებაზეც კი, თუ ეს კოდორის დაბრუნების ფასად მოხდება. ყველასათვის ნათელია, რომ კოდორის ხეობიდან საქართველოს შეიარაღებული ძალების გამოყვანაზე თანხმობის მიცემა ნიშნავდა და ნიშნავს აფხაზეთის ტერიტორიაზე დარჩენილი უკანასკნელი სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი პოზიციის დათმობას.

როგორც შეთანხმების ხელმოწერა, ისე მისი შესრულება საქართველოს ხელისუფლების მიერ საქართველოს გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიას მიზნად დანაშაულად ერისა და სახელმწიფოს წინაშე, რაზედაც უმკაცრესი პასუხისმგებლობა მართებს სახელმწიფოს მეთაურსა და მის პირად წარმომადგენლებს.

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია მოითხოვს ამ საკითხზე მსჯელობას პარლამენტის პარლამენტის სხდომაზე.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის სახელით
გ. ნათაძე, თ. პაატაშვილი, ვ. კახიანი
4.10.94.

**აფხაზეთში დარჩენილი ქართველი
მოსახლეობის მიმართვა ქართველ
ხალხს და რესპუბლიკის პარლამენტს**

საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების უპრინციპო და კაპიტულანტური პოლიტიკის შედეგად აფხაზეთის ტერიტორიაზე უკვე აღარ ვრცელდება საქართველოს იურისპრუდენცია, ხოლო ახლა საფრთხე ემუქრება ქართული წინააღმდეგობის ბოლო ციტადელს — კოდორის ხეობასაც.

ომი ჩვენ არ დაგვიწყია. მის გააღებაში აფხაზი სუბარტისტების მმართველ ხოვასთან ერთად ბრალი ხსენებული ოფიციალური ქართული პოლიტიკის მესვეურებსაც მიუძღვის. ჩვენ ვბრძვით მშობლიური მიწისთვის და ვერავის დავანებებთ მამა-პაპათა საფლავების წაბლწვა-შეგინებას. ოფიციალურად ვაცხადებთ, რომ ვერავითარი კაპიტულანტური დიპლომატიური გარიგებანი ხელს ვერ ავადმძინებს ამ სამართლიან ბრძოლაზე და რომ ქართული წინააღმდეგობის მოძრაობა არ ემორჩილება იმ ხელისუფლების გადაწყვეტილებებს, რომელიც მრავალჯერ დაამტკიცა თავისი სრული უსუსურობა და უმწიფობა.

ვიმეორებთ, ჩვენი ომი სამართლიანი ომია და იგი უნდა იქცეს მთელი ქართველი ერისა და თითოეული ქართველის ღირსების საქმედ. ჩვენ გვჭირდება თქვენი მორალური და მატერიალური მხარდაჭერა. დროა მთელს საქართველოში შეიქმნას ჩვენი მხარდამჭერი ორგანიზაციები, რომლებიც ითავებენ უმძიმეს პირობებში მებრძოლ თანამემამულეთა დახმარების საქმეს. ერმა უნდა გაიცნობიეროს, რომ კოდორის ხეობის დაკარგვა აუცილებლად გამოიწვევს აფხაზეთის საბოლოო დაკარგვას და საქართველოს შემდგომ დაშლა-დაქუცმაცებას. ჩვენი ქვეყნის ბედი დღეს აქ, ამ ხეობაში წყდება და ყველა ქართველმა შეძლებისდაგვარად საკუთარი წვლილი უნდა შეიტანოს მის დაცვაში.

აფხაზეთში დარჩენილი ქართველი მოსახლეობის
წინააღმდეგობის მოძრაობის სახელით
სამუშია, არაშიაძე, ქარაია



ჩვენს პარლამენტს, განსაკუთრებით ამ ბოლო ხანს ლანძვავს, დაცინავს და აბუნად აგდება არ აკლია ზოგიერთი ამომრჩევლისგან, ტყელე თუ რადიომავრებლისაგან, სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებისაგან, მაგრამ გვაიმედებს ის, რომ არც სხვა, ჩვენზე უფრო დიდი ქვეყნების პარლამენტები და პარლამენტარები გახლავთ ამ მხრივ უკეთეს დღეში. ამაში თავადვე დარწმუნდებით, თუ წაიკითხავთ ქვემოთ შემოთავაზებულ რჩევებს დეპუტატებისადმი, რომელიც რუსული გაზეთ „არგუმენტი ი ფაქტის“ მიმდინარე წლის სექტემბრის ნომრიდან გადმოვბეჭდეთ.

— უარყავით ყველაფერი, რასაც მთავრობა აკეთებს: ის ყველაფერს არასწორად აკეთებს მანამ, სანამ თქვენ თვითონ არ იქნებით მთავრობაში.

— როცა კენჭისყრის დროს რადიკალურად იცვლით პოზიციას, ყველაფერი ამომრჩევლების ნებას დააბრალეთ. ისინი ბევრნი არიან და მათ შორის უეჭველად აღმოჩნდება ისეთიც, რომელიც თქვენს ამ უპრინციპობას გაამართლებს.

— თუ თქვენ ძილში ხვრინავთ, შეეცადეთ სახლში გამოიძინოთ, რომ სესიაზე სხვა დეპუტატებს არ დაუფრთხოთ ძილი.

— თუ თქვენ სესიის სხდომაზე გადაწყვიტეთ ეროტიკული ჟურნალის გადაფურცვლა, ჩაღეთ იგი რომელიმე გაზეთში, მაგალითად, „პრავდაში“ ან „კომუნისტში“.

— თუ მდივანი ქალის შეცდენას შეეცდებით, გასსოვდეთ, რომ დეპუტატის იმუნიტეტი ვერ გიხსნით ალიყურისაგან..

— თუ თქვენ გადაწყვიტეთ ქრთამის აღება, არავითარ შემთხვევაში არაფერზე არსად არ მოაწეროთ ხელი.

— სანამ ცხვირში ქექვას დაიწყებდეთ, ირგვლივ მიმოიხედეთ, ტყელე ან ფოტოკამერა ხომ არ გითვალთვალებთ.

— თქვენი ფეხსაცმელები ძალიანაც რომ გიჭერდეთ, მიკროფონთან დგომისას ხშირად ნუ შეინაცვლებთ ფეხებს, დარბაზში შეიძლება იფიქრონ, რომ ძალიან გინდათ ტულეტში.

— იკითხეთ ძილის წინ ანდაზებისა და ჰევიანური აზრების კრებული. როცა თქვენი აზრი არ გემნებათ, ხალხური სიბრძნე გიხსნით.

ინფორმაცია

სამტკემბერს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები თავის პირველ საკონსულტაციო შეხვედრაზე მიიწვიან პოლიტიკურმა კლუბმა. პოლიტიკურ კლუბში, რომელიც ივლისში შეიქმნა, გაერთიანებულნი არიან საზოგადოებისათვის ცნობილი პიროვნებები: ფიქრია ჩიხრაძე, ირაკლი ბათიაშვილი, თედო ისაკაძე, მამუკა კაციტაძე, დათო ჯანელიძე, კახა გაგლოშვილი, ვახტანგ ბახტაძე და სხვა.

შეხვედრაზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

1. დეკემბერ-იანვრის მოვლენების შეფასება.
2. ხელისუფლების საკითხი.
3. ეკონომიკური რეფორმები.
4. საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები.
5. კრიმინოგენული სიტუაცია.

შეთანხმდნენ, რომ კონსულტაციები გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პოლიტიკურ საბჭოსთან შემოაღონ მსხვერპლ საკითხთა დასაკონკრეტებლად გაგრძელდება.

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის პრეს-სამსახური
7 სამტკემბერი 1994 წელი

ტოტა რამ გასტონების შესახებ

საბჭოური ტოტალიტარიზმის პერიოდში მასონთა შესახებ საკარო მსჯელობა აკრძალული იყო. აკრძალვის არტაბების მოხსნის შემდეგ ბევრი რამ ითქვა ამ საიდუმლოებით მოცული ორგანიზაციის შესახებ, მაგრამ იგი საიდუმლო ორგანიზაცია იმიტომაც არის, რომ კვლავაც ბევრი რამ მის შესახებ გაურკვეველი და უცნობია. მასონთა შესახებ მწირი ინფორმაციის გამო ვერ დავიწყებთ მასზე კატეგორიულ მსჯელობას. ერთი რამ კი ფაქტია, რომ ორგანიზაციაში გაერთიანებული არიან „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“, რომლებზეც ბევრად არის დამოკიდებული მსოფლიოს ბედი. ისიც ფაქტია, რომ მცირერიცხოვანი ერების ინტერესების დაცვა მასონთა შორის შესაბამის სიმძლავრე არ დგას. უფრო მეტიც, მსოფლიო „ძერწავები“ თავიანთ გლობალურ გეოპოლიტიკურ სტრატეგიულ მიზნებს აქცევენ ყურადღებას.

ქვემოთ ვთავაზობთ რუსულ გაზეთ „ნაშე ოტენესტოვი“ დაბეჭდილ წერილს, რომელიც, ჩვენი აზრით, მასონთა შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის. მასში მოცემულია მასონთა სია, რომელშიც ჩვენი სახელმწიფოს მეთაურის გვარიც ფიგურირებს, რაც ალბათ ავტორს სენსაციისთვის დასჭირდა. ყოველ შემთხვევაში ამ ფაქტს ჩვენ სერიოზულად ვერ აღვიჭვავთ.

ბ. თ.

სოტრაპი - მასონი?

შურნალმა „მოლოდიათა გვარდიამ“ (1993 №10) გამოაქვეყნა მასონური კლუბის „მაგისტრიუსის“ წევრების სია, რომელთა შორის ირიცხებიან „დემოკრატიული გარდაქმნის ბრიგადირები“ და მათი საზღვარგარეთელი მფარველები, ჩაუქირავე პოლიტიკური მოღვაწეები: ე.ა. შევარდნაძე, ან. იაკოვლევი, პოეტ-ე.ა. ევტუშენკო — მანგნუსი ი., ბროდსკი, მეცნიერები:

ი.ზ.საგდევეი, ს.გ. ემილიანოვი, ს.ს. შატალინი. ამერიკელი მილიონერი ჯ.სოროსი. ოლიმპიური მოძრაობის ლიდერი ს.ა. სამარანჩი და სხვები. მასონურ თბილ კომპანიაშია პეტერბურგის მერიც ა.ა.სოზნაკი, რომელსაც როგორც ეტყობა ეამაყება „მსოფლიოს რჩეულთა“ შორის ყოფნა. მაგრამ ისინი, ვინც კარგად იციან რუსეთის ისტორია, ალბათ, არ იზიარებენ ანატოლი „აღმკან-

დროვისის“ სიხარულს და მის მონაწილეობას კულისებს მიღმა მიმდინარე შეხვედრაში ორგანიზაციის წევრ ხომ კარგად გვახსოვს, რომ მასონებმა მოკლეს იმპერატორი პავლე I, 1825 წლის დეკემბერში მოაწყვეს დსვედო აჯანყება, პირველი მსოფლიო ომის პროვოცირებაც მოახერხეს, ხოლო 1917 წლის თებერვალში ჩამოაგდეს კანონიერი ხელმწიფე და კავშირი ჰქონდათ ბოლშევიკებთან მათ რიგებში მყოფი თავიანთი მოძვეების საშუალებით. მასონთა ხალათებზე არასდროს ამოირეცხება ხალხის სისხლი.

სოზნაკს ეტყობა არ ასვენებს კერენსკის („კირბისის“) რევოლუციური დაფინს გვირგვინი. იგი ხომ დაჭილდობული იყო მასონის 32-ე ხარისხით და გულმოდგინედ გამოიმუშავებდა იუდას 30 ვერცხლს.

ტოტა ხნის წინ ბევრს წერდნენ სსრკ-ს ყველაზე პოპულარული ადამიანის გორბაჩოვის უშუალო ურთიერთობებზე საერთაშორისო მასონურ სამზარეულოსთან. ის, რომ პრეზიდენტი ელცინი წარმოადგენს მალტის მასონური ორდენის რაინდს, კარგად არის ცნობილი. სოზნაკი მონდომებით მიდის თავისი მფარველების და მხარდამჭერების ნაკვალევზე.

ძალიან ბევრი უბედურება ხომ არ ტრიალებს ჩვენსა და მრავალჭირნახული, გულბრწყვილი რუსეთის თავზე?

ლ. პრიბორიანი

**პოპულარი რედაქტორი
ნოდარ ბრიგალაშვილი**
სარედაქციო საბჭო:
ქეთი ღვალაძე, გელა კახიანი,
ნინო ზამთარაძე, ვია თვალაძე,
ირმა ლომაური, ნინო ზაფარიანი,
სერგო ჯანაშია.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თაყაიშვილის
მომადნი, აუზიანის ძ. 5
ტელ. რედაქტორი: 93-20-36.
რედაქტორის მოაღიწე: 93-18-41
ასპეციალისტის მოაღიწე: 93-19-99
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით
შემოსული მასალაში ავტორებს არ უბრუნდება.

**გაზეთის
056446 66447**
ზვანი
სახელმწიფო რედაქტორი